საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/343

ქ. ბათუმი 11 აპრილი, 2023 წ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 23 მარტის N01-08/309 ბრძანების, ბსუ-სა და ლუკა დუმბაძეს შორის 2021 წლის 07 ოქტომბერს გაფორმებული N20-04/35, ბსუ-სა და ივანე რიჟვაძეს შორის 2021 წლის 07 ოქტომბერს გაფორმებული N20-04/25 ხელშეკრულების, ბსუ-სა და ლელა ფუტკარაძეს შორის 2021 წლის 07 ოქტომბერს გაფორმებული N01-08/573 ხელშეკრულებისა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2023 წლის 23 თებერვლის N215573 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეთ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროფესიულ სტუდენტებს ***(დანართი №1)***, რომელთაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ბრძანება აისახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიულ სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო

ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე"

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 11 აპრილი № 01-08/343 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი:

	სახელი და გვარი	პირადი N	ჩარიცხვის ბრძანების № და ხელშეკრულების N და თარიღი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
1	ლუკა დუმბაძე	61010020800	01-08/573, 08.10.2021, №20-04/35, 07.10.2021	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
2	ივანე რიჟვაძე	61006066750	01-08/573, 08.10.2021, 20-04/25, 07.10.2021	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
	ლელა ფუტკარაძე	61006015193	01-08/573, 08.10.2021, N20-04/05, 07.10.2021	მეფუტკრეობა